აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია და მმართველობის საბჭოს თემატური მოკვლევა

აჭარის ავტონომიური აღმასრულებელი ორგანოების ღია
მმართველობის შეფასება

თემატური მოკლევის მიზანი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებში ღია მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება

კითხვარი დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად

ორგანიზაციის სამართლებრივიფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს (ს/კ 245429200)
შემსრულებლის სახელი, გვარი დაპოზიცია	არჩილ სირაბიძე - ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
მისამართი	მ. კომახიძის ქ, N119
ტელ.	+995(0)32 224 35 10)
ელ-ფოსტა	info@mofea.ge
ინფორმაიის ჩაბარების ბოლო ვადა	21 თებერვალი, 2023 წ.
საკონტაქტო ინფორმაცია	ღია მმართველობის საბჭოს სამდივნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მალვინა ჯიბლაძე - 577032104 +995(0) 32 228 54 85 malvina.jibladze@sca.ge
ძირითადი მოთხოვნა	
წარმოდგენილი პოზიცია უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს:	

1. რა მექანიზმები ან საშუალებები აქვს ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებს (შემდგომში, აღმასრულებელ ორგანოებს) ინსტიტუციური ღიაობისთვის?

ყველას აქვს უფლება, გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოში არსებულ საჯარო ინფორმაციას, აგრეთვე მიიღოს მისი ასლები, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ, კომერციულ საიდუმლოებას ან პერსონალურ მონაცემებს. რასაც არეგულირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. რომლის მიხედვითაც, რეგულირდება აჭარის აღმასრულებელი ორგანოს ღიაობის ძირითადი პრინციპები. რომლის ფარგლებშიც მოქმედებს აღმასრულებელი ორგანოები.

2. როგორია აღმასრულებელი ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხი შიდა და მესამე მხარეების შეფასებების მიხედვით (კვლევები, ინდექსები, შეფასების ანგარიშები, რეიტინგები თუ სხვა)?

IDFI-ის მიერ ჩატარებულ კვლევებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწდომობა 2021 წლის მაჩვენებლებით შეადგენს 73,04%.

3. რა შიდა პოლიტიკის თუ სტრატეგიული დოკუმენტები მოქმედებს აღმასრულებელ უწყებებში ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე? რა კონკრეტულ გზებს ან საშუალებებს ითვალისწინებს ისინი ამ მიმართულებებით?

სამინისტროს დებულებით, შინაგანა წესითა და სამუშაოს აღწერილობით განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები და პირები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეთა ჩართულობას, ასევე აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში აჭარის რეპუბლიკური ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრა პროგრამული ბიუჯეტის საშუალებით ხდება. ეს არის საბიუჯეტო პროცესი, რომელშიც მოქალაქეების ჩართულობა მაღალია. პროგრამული ბიუჯეტის დოკუმენტის საბოლოო მომზადებამდე საჯარო შეხვედრები იმართება, რომელსაც მოქალაქეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, არასამთავრობო სექტორი და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებიან. ბიუჯეტის ამ გზით ფორმირებისას მოქალაქეთა ინტერესები და მათი საჭიროები მაქსიმალურად არის გათვალისწინებული. სამინისტროში მოქალაქეთა მიღების საათები არ არის განსაზღვრული. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, სამუშაო საათებში, მათთვის საინტერესო საჯარო მოხელესთან/მინისტრთან შეხვედრის შესაძლებლობა აქვს. სამინისტროს მიერ გამოცხდებული კონკურსის თაობაზე ინფორმაცია იდება ვებგვერდზე, სადაც მიეთითება საკონტაქტო ნომერი, რომელზე მიმართვის შესაძლებლობაც ექნება დაინტერესებულ პირს.

4. როგორია აღმასრულებელი ორგანოების ვებგვერდების მდგომარეობა - რამდენად ითვალისწინებს ისინი ღია მმართველობის საკითხებს? არის თუ არა ვებგვერდებზე ჩართულობის ონლაინ მექანიზმები და როგორია ისინი?

სამინისტროს ოფიციალური პორტალი და facebook გვერდი სრულად პასუხობს საჯარო მმართველობის პრინციპებს. პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციების პარალელურად, აქტიურია მოქალაქეების უკუკავშირი. ოფიციალურ გვერდებზე მითითებული ელექტრონული ფოსტის, თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საკონტაქტო ნომრებზე, მოქალაქეებს მათთვის სასურველ ინფორმაციაზე წვდომის საშუალება აქვთ. გარდა ამისა, საჯარო ინფორმაციის ოფიციალურ მეილზე მოქალაქეები და ორგანიზაციები წერილებს აგზავნიან და დადგენილ ვადებში, მოთხოვნილ ოფიციალურ დოკუმენტაციასთან ერთად ინფორმაციებს იღებენ.

5. როგორია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი? რამდენად იყენებს საზოგადოება ონლაინ პლატფორმებს ორგანოებთან ურთიერთობისთვის, რა პლატფორმებია ამისთვის (ვებგვერდი, სპეციალური გვერდები, აპლიკაციები, ა.შ.)

მოქმედებს როგორც აჭარის ერთიანი სამთავრობო პორტალი https://ajara.gov.ge/, ასევე საკუთრივ სამინისტროს Facebook - გვერდი. ორივე პლატფორმა მოქალაქეების ჩართულობის შესაძლებლობას იძლევა და მათი აქტიურობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. მოქალაქეები მათთვის საინტერესო საკითხებზე მოგვმართავენ შეკითხვის სპეცილურ ველში და იღებენ დეტალურ ინფორმაციას.

6. როგორია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების გამოცდილება?

a. ვებ-გვერდზე სამინისტროს მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება, აღნიშნული ინფორმაცია არის როგორც ფოტოს, ასევე ვიდეოს და ტექსტის ფორმატით. სპეციალურ სამთავრობო პორტალზე ხდება სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურების საქმიანობის ანგარიშების, კანონში შესული ცვლილებების, რეგულაციების, სამართლებრივი აქტების, სახელმწიფო შესყიდვების, მომზადებული სამოქმედო გეგმების, სტრატეგიების და სხვა დოკუმენტების გამოქვეყნება ხდება.

b. ინფორმაციის რა ნაწილია წაკითხვად ფორმატში (machine-readable1)? ინფორმაცია განთავსებულია წაკითხვად ფორმატში.

c. რამდენად ჩაშლილია ინფორმაცია (მაგალითად, გენდერულ, ასაკობრივ თუ სხვა თვალსაზრისით)?

აჭარის სამთავრობო პორტალზე გარკვეული დიფერენცირება აღნიშნული კატეგორიების მიხედვით არის, მაგალითისთვის: სამსახურში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით გენდერულ ჭრილში და სხვა. თუმცა, ძირითადად, გამოქვეყნებული ინფორმაციიდან სასურველ კლასიფიკაციას, თავად დაინტერესებული მოქალაქე ახდენს.

7. როგორია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აღმასრულებელ ორგანოებში?

a. გამოთხოვილი ინფორმაციის სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული

b. ინფორმაციის გამოთხოვაზე პასუხების სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული, პასუხის მიწოდების ვადების მითითებით

c. განმარტება და დასაბუთება ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევებზე.

8. როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში**?**

a. ჩართულობის კონკრეტული მაგალითები.

ბიუჯეტირების პროცესში, კერძოდ, ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრამდე, მოქალაქეების მონაწილეობით, საჯარო შეხვედრები იმართება. საინვესტიციო ფორუმები, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე იმართება და მონაწილეობას იღებენ ადგილობრივი და უცხოური ბიზნესის წარმომადგნელები.

b. საჯარო შეხვედრების, განხილვების, დისკუსიების ან სხვა ღონისძიებების სტატისტიკა - მათზე დამსწრე პირების მითითებით, სადაც გამიჯნულია დამსწრე/მონაწილე საჯარო დაწესებულების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების რაოდენობის შესახებ ინფორმაციები.

საბიუჯეტო, საინვესტიციო და ეკონომიკური განვითარების მიზნების მისაღწევად, სამინისტრო სხვადასხვა ფორმატის შეხვედრას მართავს. აღნიშნულ შეხვედრას როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო, ასევე მედიის წარმომადგენლები და მოქალაქეები ესწრებიან. პერიოდულად იმართება საინვესტიციო ფორუმები, ბიზნესის წარმომადგენლებთან. შეხვედრის თემატიკის, ფორმატის და მიზნების გათვალისწინებით, დამსწრეთა რაოდენობა 20-დან 300 ადამიანამდეა.

c. ამ ჩართულობის მაგალითებს რა ცვლილებები მოჰყვა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისთვის (რა შეიცვალა უწყების საქმიანობაში, შესაბამის დოკუმენტში ან სხვა საქმიანობაში, რისთვისაც გამიზნული იყო ჩართულობა)?

ბიუჯეტირების პროცესში, მოქალაქეებთან შეხვედრისას, კონკრეტულ მუნიციპალიტეტებში დაგეგმილისგან განსხვავებული საჭიროება გამოიკვეთა, საჯარო დისკუსიის შემდეგ კი ახალი პრიორიტეტები საბოლოო დოკუმენტში აისახა.

d. აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

მოქალაქეებთან უკუკავშირის გარეშე სამინისტროს საქმიანობა არ იქნება შედეგზე ორიენტირებული. მოქალაქეს, როგორც წერილობით, ასევე შეხვედრებისას დეტალურად მიეწოდება ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ჩვენი დაკვირვებით, ყველაზე დიდი გამოწვევა სწორედ არაინფორმირებული მოქალაქეა, რომელსაც აქვს ცრუ მოლოდინები, ან ხშირად დაუზუსტებელი ინფორმაცია გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით. მსგავსი ფაქტები ზრდის მოქალაქეთა უკმაყოფილების და პროტესტის განცდას, რაც შემდეგ სხვადასხვა ქმედებით გამოიხატება. მოქალაქე პირველ რიგში კომპეტენტურ და რეალურ პასუხებს ითხოვს ჩვენგან, ეფექტური უკუკავშირი კი ზრდის მათ ინფორმირებულობას. სამინისტრო ხშირად ოფიციალური წერილის გაგზავნის პარალელურად, მიღებული გადაწყვეტილებების თუ დაგეგმილი პროექტების უკეთ გასაცნობად, მოქალაქეების კონკრეტულ ჯგუფთან დამატებით საჯარო შეხვედრებს მართავს. (მაგ: „ოცნების ქალაქის“ მოსახლეობა.)

9. ბიუჯეტის პროექტის**,** პრიორიტეტებისა და პროგრამების განხილვის პროცესში როგორია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი**?**

a. რამდენი საჯარო შეხვედრა ჩატარებულა?

ბიუჯეტირების პროცესის თანახმად წელიწადში ტარდება არანაკლებ 2 საჯარო შეხვედრა.

b. ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას ესწრება როგორც სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი, აგრეთვე კონკრეტული დარგის სპეციალისტები და მოქალაქეები.

c. ბიუჯეტის პროექტი ქვეყნდება სამინისტროს ვებ-გვერდზე და ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია იხილოს და გააკეთოს კომენტარი წერილობითი ფორმით.

d. ხშირად განხილვების დროს ხდება ახალი ინიციატივების გაჟღერება და შესაბამისად მისი ასახვა რესპუბლიკური ბიუჯეტის პროექტში.

e. ინიციატივის გაჟღერების შემდეგ ხდება მისი განხილვა და საკითხის პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მისი ასახვა ბიუჯეტის პროექტში, შესაბამისად წარდგენილი პროექტის გამოქვეყნება ხდება საჯაროდ.

10. თქვენი აზრით**,** ბიუჯეტის პრიორიტეტების**,** პროექტისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის**,** რამდენად გასაგებად და ადვილად ხელმისაწვდომი ფორმით მიეწოდება ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს და ხელს უწყობს თუ არა ინფორმაციის მიწოდების მეთოდები საზოგადოების მონაწილეობას**?**

დაინტერესებული პირებისთვის მზადდება პრეზენტაციები ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების შესახებ. დაინტერესებულ მხარეებს აქვთ შესაძლებლობა ჰქონდეთ უკუკავშირი პროგრამების განმახორციელებლებებთან.

11. ანგარიშვალდებულების რა ფორმებს იყენებენ აღმასრულებელი ორგანოები**?**

პროგრამების განმახორციელებელი დეპარტამენტები ყოველი კვარტალის და წლის ბოლოს ამზადებენ ინფორმაციას, პროგრამებით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის შესახებ.

12. როგორ შეუძლიათ აღმასრილებელ ორგანოებს გააუმჯობესონ ანგარიშვალდებულება საზოგადოებრის მიმართ, რა კონკრეტული მეთოდებით?

ყველა საჯარო ინფორმაცია, რაც იქნება აღმასრულებელ ორგანოებში, გამოქვეყნდეს კონკრეტული დაწესებულების ოფიციალურ ვებ. გვერდზე, რაზედაც ამ ეტაპისათვის მნიშვნელოვანი ნორმატიული აქტები იტვირთება. უფრო მეტიც, ყველა ნორმატიული აქტი იტვირთება და ხელმისაწვდომია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ოფ. ვებ. გვერდზე https://matsne.gov.ge/

13. თქვენი მოსაზრებით, რა უნდა გააკეთოს აღმასრულებელი ორგანოებმა იმისთვის რომ გაიზარდოს სამოქალაქო ჩართულობა მათ საქმიანობაში? რა უნდა გააკეთოს სხვა პირებმა ამისთვის? აღმასრულებელი ორგანოები საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფენ სამოქალაქო ჩართულობას მათ საქმიანობაში. აუცილებელია სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება და მათი მხრიდან მეტი ინტერესის გამოხატვა პროგრამების დაგეგმვის ეტაპზე. ეს ხელს შეუწყობს თანამშრომლობის გაუმჯობესებას და ბუნებრივია საჯარო სექტორის გააქტიურებას.	
ინფორმაციის გაგზავნის თარიღი**:**	21.02.2023 წ.